სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის კონკურსის საფუძველზე შერჩევის პროცედურა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ჰიმნის კონკურსის საფუძველზე შერჩევის პროცედურა (შემდგომში - ,,პროცედურა“) განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების პირობებსა და გამარჯვებულის გამოვლენის წესს.
2. კონკურსის მიზანია უნივერსიტეტის ჰიმნის შერჩევა, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით.
3. კონკურსის ორგანიზატორი და განმახორციელებელია უნივერსიტეტი.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულე კომპოზიტორებს.
2. საკონკურსოდ, წინამდებარე პროცედურით დადგენილი წესით, პირს, ან პირთა ჯგუფს უფლება აქვს, წარმოადგინოს ერთი ან ერთზე მეტი ნაწარმოები, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1,5 წუთს. ნაწარმოები უნდა იყოს შერეული გუნდისთვის, მელოდიური, შეესაბამებოდეს ასეთი კატეგორიის ნაწარმოებისადმი დამახასიათებელ მოთხოვნებს. მუსიკალური ნაწარმოების ორივე კომპონენტი (მუსიკაც და ტექსტიც) უნდა იყოს უნიკალური, კონკრეტულად აღნიშნული კონკურსისათვის შექმნილი. მუსიკალური ნაწარმოების ტექსტი უნდა იყოს საუნივერსიტეტო თემატიკაზე და არ უნდა აღემატებოდეს სამ კუპლეტს, არ უნდა შეიცავდეს მოწოდებას დისკრიმინაციისა და ძალადობისკენ, ასევე, სარეკლამო ნიშნებს. სასურველია ტექსტი შეიცავდეს სიტყვებს ,,თავისუფლება“, ,,დედა უნივერსიტეტი“, ,,ცოდნა“.
3. კონკურსში გამარჯვებული მუსიკალური ნაწარმოები ჩაიწერება სტუდიაში, ასევე შეიქმნება ვიდეო რგოლი.

მუხლი 3. კონკურსის ვადები

1. კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის მიერ.
2. საკონკურსო განაცხადები მიიღება 2023 წლის 20 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტები და მათი წარმოდგენის წესი

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება უნივერსიტეტის კანცელარიაში. კონკურსში მონაწილეობისთვის განმცხადებელმა/განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე, კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი/ასლები;
გ) საბანკო რეკვიზიტები (ერთობლივად წარმოდგენილი განაცხადის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთი განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები);
დ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მასალა.
2. წარმოდგენილი ნაწარმოები არ უნდა იყოს გამოცემული და/ან საჯაროდ შესრულებული კონკურსში მონაწილეობის მიღებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, განცხადება არ იქნება განხილული, ან მოიხსნება კონკურსიდან ფაქტის გამოვლენისთანავე.
3. კონკურსანტმა უნდა წარადგინოს საკონკურსო ნაწარმოები, შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: ნაწარმოები წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ეგზემპლარად აუდიო ფაილის (MP3 ფორმატი ან კომპიუტერულ პროგრამაში შექმნილი) სახით. აუდიო ფაილის შემცველი ელექტრონული მატარებელი (CD ან DVD დისკი) ამავდროულად უნდა შეიცავდეს სანოტო მასალას PDF ფორმატში. აღნიშნულის გარდა, წარმოდგენილი უნდა იქნას სანოტო მასალა ამობეჭდილი სახით, ერთ ეგზემპლარად. ავტორის/ავტორების სახელი და გვარი მითითებული უნდა იყოს სანოტო მასალის მხოლოდ ამობეჭდილ ვერსიაზე.
4. კონკურსის დასრულების შემდეგ, მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი საკონკურსო მასალა შესაძლებელია დაუბრუნდეს კონკურსანტს.
5. კონკურსანტი, კონკურსის ფარგლებში განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე, უფლებამოსილია, შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია.
6. დოკუმენტები და საკონკურსო მასალა უნდა იყოს წარმოდგენილი მატერიალური სახით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ოთახი 114.
7. საკონკურსო განაცხადებს (მასზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დართული მასალებითურთ), დროში მათი წარმოდგენის რიგითობის მიხედვით, თითოეულს საკანცელარიო წესით რეგისტრაციის შემდგომ, ენიჭება ასევე რიგითი ნომერი. საკონკურსოდ წარმოდგენილ თუ რომელ ნაწარმოებს, რომელი საკანცელარიო ან/და რიგითი ნომერი მიენიჭა, ცნობილი არ უნდა გახდეს ავტორებისა და კომისიის წევრებისათვის კონკურსის დასრულებამდე.

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო ნაწარმოებს აფასებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.
2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისი შემადგენლობიდან კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით.
3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები და გამარჯვებულის გამოვლენის - მუსიკალური ნაწარმოების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

1. კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისია ისმენს და იხილავს საკონკურსოდ წარმოდგენილ მუსიკალურ ნაწარმოებებს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე პროცედურის დაცვით. საკონკურსო კომისიას კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოებები გადაეცემა მათ წარმომდგენ პირთა (ავტორთა) მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე, მხოლოდ საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაწარმოებზე არსებული ნუმერაციით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განხილვის დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსოდ წარმოდგენილი არაუმეტეს 3 ნაწარმოების კონკურსის მეორე ეტაპზე გადასვლის შესახებ.

3. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოებების საჯარო მოსმენა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში. საჯარო მოსმენის შესახებ ინფორმაცია (მოსმენის დაწყების დრო, ადგილი და ა.შ.) თავსდება ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე (მათ შორის უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სხვა საჯარო ინტერნეტ სივრცეში). საჯარო მოსმენის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ, რა მიზნითაც საჯარო მოსმენაში აუცილებლად მონაწილეობს საკონკურსო კომისია.

4. კონკურსის მეორე ეტაპზე წარდგენილ საკონკურსო ნაწარმოებებს შორის (ამ ნაწარმოებების საჯარო მოსმენის შემდგომ) გამარჯვებული ნაწარმოები ვლინდება კენჭისყრით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოების, კომისიის და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა მიერ სასურველი ნაწარმოებისათვის ხმის მიცემის გზით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პირს უფლება აქვს ხმა მისცეს არაუმეტეს 2 საკონკურსო ნაწარმოებს, გარდა საკონკურსო კომისიისა, რომლის წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ საკონკურსო ნაწარმოებს.

6. კენჭისყრის პროცედურის ჩატარების მიზნებისათვის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საარჩევნო კომისია, კონკურსის მე-2 ეტაპის (საჯარო მოსმენა) ჩატარებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე.

7. საარჩევნო კომისია კონკურსის მე-2 ეტაპის (საჯარო მოსმენა) ჩატარებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სამდივნოსგან, წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოსგან, ფაკულტეტის ადმინისტრაციებისაგან და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისაგან იღებს წევრთა/წარმომადგენელთა სიებს, სახელის გვარისა და მათი პირადი ნომრების მითითებით, რის საფუძველზეც ამტკიცებს საარჩევნო სიას.

8. საარჩევნო ბიულეტენზე დაიტანება საკონკურსო ნაწარმოებების რიგითი ნომრები და საჯარო მოსმენის დროს საკონკურსო ნაწარმოებები უნდა შესრულდეს მიკუთვნებული რიგითი ნომრების მიხედვით, ნუმერაციის ზრდადობით.
9. საჯარო მოსმენის დასრულების შემდგომ, საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ დროს იწყება ხმის მიცემის პროცესი, რომელიც გრძელდება ორი საათის განმავლობაში.
10. ხმის მიცემა ხორციელდება ამისათვის სპეციალურ გამოყოფილ ადგილას, ფარულობის პრინციპის უზრუნველყოფით.
11. ხმის მიცემის უფლების მქონე თითოეულ პირს, მას შემდეგ, რაც იგი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით დაადასტურებს საარჩევნო სიაში მის არსებობას, გადაეცემა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული კომისიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დადასტურებული ბიულეტენი, რომელშიც მითითებული იქნება საკონკურსოდ წარდგენილი ნაწარმოებები დადგენილი რიგითობით. ხმის მიცემის უფლების მქონე პირის არჩევანი დასტურდება ბიულეტენზე მოცემული ნომრის/ნომრების შემოხაზვით (არაუმეტეს 2 ნომერი). ბათილია საარჩევნო ბიულეტენი, რომელიც არ შეესაბამება ამ პროცედურით დადგენილ მოთხოვნებს ან/და ბიულეტენი, რომელიც ვერ იძლევა ხმის მიცემის უფლების მქონე პირის ნების დადგენის შესაძლებლობას. საარჩევნო კომისია შედეგებს ითვლის სააქტო დარბაზშივე, ხმის მიცემაში მონაწილე და დამსწრე საზოგადოების თანდასწრებით.
12. ხმის მიცემის პროცედურის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 საათისა საარჩევნო კომისია აცხადებს შედეგებს.
13. გამარჯვებულად ცხადდება ის საკონკურსო ნაწარმოები, რომელიც მიიღებს სხვა საკონკურსო ნაწარმოებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილე ხმის მიცემის მქონე პირთა ხმების 60%-ს.

მუხლი 7. საკონკურსო პრემია

საკონკურსო პრემია განისაზღვრება 5000 (ხუთი ათასი) ლარით და გადაეცემა კონკურსში გამარჯვებულს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ის პროცედურული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით და განეკუთვნება კომისიის საქმიანობის და უფლებამოსილების სფეროს, დგინდება კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული საარჩევნო კომისია, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია დაამტკიცოს დებულება საკონკურსო ნაწარმოებისათვის კონკურსის მე-2 ეტაპზე გასამართი ხმის მიცემის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოების გამოვლენის შემთხვევაში, იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის რექტორის მიერ, განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე პროცედურით გათვალისწინებული პროცესის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, შესაბამისი უფლებამოსილი პირების - კომისიისა და საარჩევნო კომისიის მოთხოვნების საფუძველზე, ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.